№ 166

სამშაბათი, 4 აგვისტო, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 166

სამშაბათი, 4 აგვისტო, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

## ბუნება და ცხოვრება

ილ. ალ ხაზიშვილისა

ფასი 60 კაპ.

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ. ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—17)

**გორის ანასტასიის საქალებო პროგიმნაზიაში** მისაღებ მოსწავლეთა გამოცდა დაიწყება 27—28 აგვისტოს, 31 აგვისტოს მეორედ გამოიცდებიან სასწავლებლის ზოგიერთი მოსწავლენი, 1 ენკენისთვეს გარდახდილ იქმნება პარაკლისი და დაიწყება სწავლა.

მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მიღებულ იქმნებიან ბავშვები არა ნაკლებ 7 წლისანი, აგრეთვე ისინი, რომელთაც არ ეცოდინებათ რუსული ენა და წერა-კითხვა დედა-ენაზედ. მოსწავლეთა მისაღებად ყველა კლასშია თავისუფალი ადგილი. (3—უ—1)

**გორის სამასწავლებლო სემინარიაში** 26 აგვისტოს მეორედ გამოიცდებიან სასწავლებლის ზოგიერთი მოსწავლენი. ამავე დღეს მკურნალი შეამოწმებს სასწავლებელში შემოსასვლელ ყმაწვილებს. 27 აგვისტოს მოსწავლენი გამოიცდებიან წერაში და 28 აგვისტოს—საგნებში. 1 ენკენისთვეს გარდახდილ იქმნება პარაკლისი და დაიწყება სწავლა. თავისუფალი ადგილია უმცროსს მოსამზადებელს კლასში 5 (მხოლოდ თათრებისათვის) და უმფროსში—10. (3—უ—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ა. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^{1}/_{2}$—$11^{1}/_{2}$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის $11^{1}/_{2}$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბურკო.** $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის, ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.** — 6 — 7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** — $6^{1}/_{2}$ — 7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო** — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

## ახალი ამბავი

*** უკვე თვე და შვიდი დღეა მას შემდეგ, რაც თავ. ივ. გ. მაჩაბელი დაიკარგა და დღესაც იმის კვალისთვის ვერ მიუგნიათ. თავადის ნათესავებიც, პოლიციაც ბევრს ეცადა, მაგრამ მაჩაბელი მაინც არსად აღმოჩნდა. ეხლა, როგორც შევიტყეთ, ტფილისის პოლიცმეისტერს თავ. მაჩაბლის მოძებნა ბოქაულის თანაშემწის ბ-ნ ბაბალოვისათვის მიუნდვია, რომელიც 26 ივლისიდგან უკვე შესდგომია საქმეს.

*** ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი კვირა ღამეს ტფილისში დაბრუნდა გორის მაზრიდგან.

*** კავალერიის გენერალს თავ. ი. გ. ამილახვარს განზრახვა აქვს თავისს ხარჯით წყალი გაიყვანოს გორის საპატიმროში, ბაღი გაჰმართოს და მთლად საპატიმრო ელექტრონით გაანათოს.

*** ქალაქის გამგეობის განკარგულებისამებრ, ამ ზაფხულს ქალაქის ტეხნიკოსები შეუდგნენ წყლის ნაპირის ქუჩის გასწორებას. ამ ტეხნიკოსებს იმოდენა მიწა გაუზიდნიათ ქუჩიდგან და ქუჩა ისე დაუდაბლებიათ, რომ სახლების, როგორც, მაგალითად, მეორე გიმნაზიის სახლის საძირკველი, ქუჩის ზემოდ მოქცეულა. ამის გამო ქალაქის გამგეობამ მუშაობა შეაჩერა და დაადგინა: ქუჩა ხელახლად აამაღლოს, ხოლო ის ხარჯი, რაც ამ საქმეს დასჭირდება, ქალაქის ტეხნიკოსებს დააწეროს.

*** 15 აგვისტოს ტფილისის სააბრეშუმო სადგურში გაიმართება გამოფენა მეფუტკრეთა მიერ დამზადებულ სხვა-და-სხვა გვარ საგნებისა. ამ გამოფენას ჰმართავს მთელის რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადოება, რომელიც 15—18 აგვისტოს მეფუტკრეთა კრებას გაჰმართავს ტფილისში. გამოფენაში ყველა მსურველს შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა და შეუძლიან გამოჰფინოს ცალიერი და ფუტკრით სავსე სკები, თაფლი, სანთელი, თესლი, თაფლის მაგვარ წვენის მქონე მცენარეულობა, თაფლისა და სანთლისაგან დამზადებული საგნები და სხვა. გამოსაფენად მსურველთ ადგილი უფასოდ დაეთმობათ. დაწვრილებით პირობები მსურველს შეუძლიან გაიგოს გამოფენის გამგე კ. მ. ზანისთან.

*** ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო ორთაჭალის ბაღების პატრონებს მტკვრის ტოტზედ ორთაჭალაში ხის ხიდის აშენებისა, იმ პირობით კი, რომ ამ ხიდზე მისვლა-მოსვლის ნება მაშინ მიეცეთ, როდესაც მას ტეხნიკოსთა კომისია გასინჯავს და შეამოწმებს.

*** ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების დირექტორს ბ-ნ რობის აზრადა აქვს, თუ ქალაქის გამგეობა ამავე საზოგადოებას გადასცემს ტფილისის ცხენის რკინის გზას, საზოგადოების ხარჯით სოლოლაკის მთაში გვირაბი გაიყვანოს და ამ გვირაბში ელექტრონის რკინის გზა გამართოს საბოტანიკო ბაღის ქალაქთან შესაერთებლად.

*** კენჭის ყრა იმ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა, რომელნიც ამ წელს ჯარში უნდა გავიდნენ, დანიშნულია ქ. ტფილისში 15 ოქტომბერს. ამ წელს ჯარში უნდა გავიდეს ტფილისიდგან 43 რუსი, პოლონელი და სხვა და 61 ქართველი და სომეხი.

*** ამ ჟამად გლეხმა მელვინეთხუცესიშვილმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მომეცით თელავის მაზრის სოფ. აწყურში უფასო წიგნთ-საცავი დავაარსოვო.

*** კვირას, 2 აგვისტოს, საღამოს 9 საათზედ, მე-3 თუმანოვის ქუჩაზედ შემდეგი უბედურება მოხდა. ნანიევის დუქნის კარებთან იჯდა ხალხში მხატვარი ივანე ჯავახოვი და ხალხს ემუსაიფებოდა. ამ დროს საიდგანღაც გაჩნდა მჭედელი ნიკოლოოზ ყულუმბეგიშვილი და უთხრა, რომ წამო დუქანში ჩემის ხარჯით ღვინო დაგალევინოო. ჯავახოვმა უარი უთხრა. ყულუმბეგიშვილმა იძრო ჯიბიდგან რევოლვერი და დაახალა. ტყვია ჯავახოვს

## ფელეტონი

### „ბიჭო, ერთი ჭიქა ლუდი!“

(გიუ-დე მოპასანისა)

თარგმანი

რისთვის შევედი მაშინ საღამოზედ იმ ლუდხანაში? სრულებით არ მესმის. ციოდა, ჟინჟღლამდა, წყლის მტვერი გადასდებოდა გასანათს ლამპრებს, ბრწყინავდა მაღაზიებისაგან განათებულ ფილაქნებზედ და დასველებულ და ტალახში ამოსვრილ მოსიარულე ხალხის ფეხებზედ.

დავეხეტებოდი ისე, უაზროდ. ცოტა გასეირნება მინდოდა სადილის შემდეგ. გავიარე ლიონის კრედიტი, ვივიენის ქუჩა და ბევრი სხვა; უცბად დავინახე დიდი და ნახევრად გავსებული ხალხით ლუდხანა. შევედი შიგ სრულებით უმიზნოდ: არა მწყუროდა.

მოვძებნე თავისუფალი ადგილი და ჩამოვჯექი ერთ ვიღაც კაცის გვერდით; ეს კაცი, რომელიც მოხუცებულად მეჩვენა, სწევდა უბრალოს და ნახშირივით გაშავებულ თიხის ჩიბუხს. ექვსი, თუ რვა, სტოლზედ დაგროვებული ჭიქები ამტკიცებდნენ რამდენი ლუდი ჩაეყლაპა.

კარგად არც-კი გამიშინჯავს ჩემი მეზობელი. პირველ შეხედვაზედ მივხვდი, რომ ეს ადამიანი ლუდის მოტრფიალე უნდა ყოფილიყო, რომელიც დილიდგან საღამომდის ლუდხანაშია და მიდის სახლში მხოლოდ საღამოზედ, როდესაც ყველანი მიჩუმდებიან და ლუდხანა იკეტება. ის საშინლად ჭუჭყიანი იყო, თავი ნახევრად მოსტიტვლებოდა, გრძელი და გაქონილი თმები სერთუკის საყელოს ფარავდნენ. ეტყობოდა, რომ იმისი მეტად განიერი ტანისამოსი შეკერილი იყო იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ დიპი ჰქონოდა. მაშინვე შევამჩნევდით, რომ შარვალს ძლივს იმაგრებდა და წამ-და-უწუმ ისწორებდა, რომ არ ჩავარდნოდა. არ ვიცი, ეცვა თუ არა ჟილეტი, რაც-შეეხება-კი იმის ფეხ-საცმელებს, მარტო მათი შეხედულობა კაცს შეაშინებდა; დაფლეთილი პერანგის მაჯები სრულებით გაშავებულიყვნენ, როგორც იმის ხელის ფრჩხილები.

ჯერ არც-კი დავმჯდარიყავი, რომ ის მომიბრუნდა და წარმოსთქვა დაწყნარებულის ხმით:

— როგორა ხარ?

მე მივბრუნდი იმისკენ, გეგონებოდათ, რაღამაც ხელი მკრაო და დავუწყე დაშტერებით შინჯვა. მაშინ მკითხა:

— ვერა მცნობ?

— ვერა!

— დე-ბარრე.

მე გავშტერდი. ის იყო გრაფი ჟან-დე ბარრე, ჩემი ძველი ამხანაგი. ხელი ჩამოვართვი, მაგრამ ისე გაკვირვებული ვიყავი, რომ სიტყვის თქმაც ვერ მომეხერხებინა.

ბოლოს ძლივს წარმოვსთქვი:

— შენ, შენ-კი როგორა ცხოვრობ?

იმან დავმდაბლად მიპასუხა:

— ისე, ვცხოვრობ. და დადუმდა. მე მსურდა სასიამოვნო რამ მეთქვა, სულ იმას ვფიქრობდი, რა მეთქვა.

— ჰო და, რა ხელობას მისდევ?

იმან მიპასუხა ისევ მორჩილის ხმით:

— შენ თითონ ხედავ.

მე ვგრძნობდი, რომ ვწითლდებოდი. მაინც განვაგრძე:

— მაინც რას აკეთებ მთელ დღეს?

აიღო თავის ჩიბუხი და სთქვა:

— ყოველ დღე ერთსა და იგივეს

და დაუწყო სტოლზედ კაკუნი წვრილი ფულით და დაიყვირა:

— ბიჭო, ორი ჭიქა ლუდი!

ვიღაცის შორეულმა ხმამ განიმეორა: „ორი ჭიქა ლუდი“. მეორე, უფრო შორეულმა ხმამ უპასუხა: „მზად გახლავთ“. მაშინ ჩვენ წინ გაჩნდა ბიჭი თეთრის ფეშტამალით და ორი ჭიქა ლუდით, რომლებსაც ცოტა პირი წამოუქცია.

დე-ბარრემ მაშინვე დაცალა თავისი ჭიქა და დასდგა სტოლზედ.

შემდეგ მკითხა:

— სხვა, ახალს რას იტყვი.

— არაფერს, ძველო ამხანაგო; მე კომერციულ საქმეებს მივსდევ.

— ნუ თუ მაგითი ერთობი?

— მაგას ვერ ვიტყვი, მაგრამ როგორც გინდა, კაცმა ხომ უნდა გააკეთოს რამე?

— რისთვის?

— სხვა არა იყოს-რა, მარტო იმიტომ, რომ კაცს საქმე ჰქონდეს რამე.

— რა საჭიროა? მე არას დროს არაფერს არ ვაკეთებ, არას დროს და არაფერს. როცა ჯიბეში ერთი გროშიც არ მოგეპოვება, მაშინ მესმის, კაცმა უნდა იმუშაოს; სულ სხვაა, როდესაც გაქვს, რითი იცხოვრო, ეგ სრულებით უსარგებლოა. რისთვის უნდა იმუშავო? ვისთვის აკეთებ მაგას? შენთვის, თუ სხვისთვის? თუ შენთვის, მაშინ ეგ საქმე შენ თითონ მოგწონს; და თუ სხვებისთვის მუშაობ, მაშინ სისულელის მეტი არა არის-რა.

თავისი ჩიბუხი მარმარილოს სტოლზედ დასდო და კიდევ დაიყვირა:

— ბიჭო, ერთი ჭიქა ლუდი!

შემდეგ განაგრძო:

— მე მწყურდება ხოლმე, როდესაც ბევრს ვლაპარაკობ, მე მაგას დაჩვეული არა ვარ. დიახ, მე სრულებით არაფერს ვაკეთებ, ვცოცხლობ ინერციით და ვბერდები; სიკვდილის დროს მე არაფერი დამენანდება, არ მექნება მოსაგონი რამ, გარდა ამ ლუდხანისა. არც ცოლი, არც შვილები, არც სხვა-რამ სამწუხარო სრულიად არაფერი. ასე სჯობიან. დაცალა თავისი ჭიქა, ენით მოიწმინდა ტუჩები და აიღო ხელში ჩი-

ძოძუს ქვემოდ მოხვდა. დაშავებული საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ყულუმბეგიშვილი-კი პოლიციამ დააპატიმრა.

*** 27 ივლისს კავკავში ჩამოვიდა საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოგზავნილი ბარონი ი. ა. დე-ბაი, რომელსაც აზრადა აქვს შეისწავლოს კავკასია ეტნოგრაფიისა და არქეოლოგიის მხრივ. ბარონს დე-ბაის უკვე შემოუვლია შავის ზღვის პირის გუბერნია, ყუბანის ოლქი და აზრადა აქვს შემოიაროს ამიერ-კავკასია და დაღესტნის ოლქი.

*** 3 აგვისტოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზედ შემდეგი უბედურება მოხდა. სადგურ სვირის მახლობლად სახალხო მატარებლიდგან გადახტა სურამის მცხოვრებელი ალექსანდრე ლოტუაშვილი, რომელიც მატარებელმა თვლებ ქვეშ შეითრია და გასრისა. ამავე დღეს აჯიქაბულში მუშა მატარებლს, სადგურში შესვლის დროს, 6 ვაგონი მოსწყდა დ გადავარდა რელსებიდგან, რის გამოც სახალხო მატარებელმა დაიგვიანა 3 საათ. და 4 წუთით.

*** ამ დღეებში ტფილისს ჩამოვიდა პროფესორი ყაზანის უნივერსიტეტის სადოსტაქრო კლინიკისა ბ-ნი ი. ა. პრაკსინი.

*** ყარსის ოლქის მცხოვრებ დუხობორებს შუამდგომლობა დაუწყიათ სადაც ჯერ არს, რომ ნება მოგვეცით საზღვარ-გარეთ გადავსახლდეთო.

*** ბათუმიდგან სწერენ გაზ. „მმაკს“, რომ დღემდის ყურს არავინ უგდებდა შავის ზღვის პირად მდებარე ტყეებს და არავინ ჰკისრულობდა უგზოობისა გამო იქიდგან ხე ტყის გამოტანას. დღეს ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ერთმა როსტოველმა ვაჭარმა და კარგადაც მიჰყავს ჯერ-ჯერობით თავისი საქმე იმის გამო, რომ ბათუმის ყველა მექარხნეთ, რომლებსაც დღემდის ხე-ტყე საზღვარ-გარეთიდგან მოჰქონდათ, პირობა მისცეს, დღეიდგან მუდამ შენგან წავიღებთ ჩვენთვის საჭირო ხე-ტყესაო. ამ ვაჭარმა უკვე ხე-ტყის ქარხანაც დააარსა სოხუმის ოლქის სოფ. კოტორშიო.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა გენ.-მაიორმა ოდინცოვმა თანხმობა განაცხადა, რომ არდაგანის ოლქის ჩალდირის ნაწილის უფროსის კაპ. თავ. ხერხეულიძის საქმე, რომელსაც სამსახურის აღსრულების დროს დანაშაულის ჩადენა ჰბრალდება, გამომძიებელს გადაეცეს გამოსაძიებლადაო.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ ცნობილი ყაჩაღი ოსი ხინჩაგაშვილი, რომელმაც გორის მაზრაში ერთი ჩაფარი და გლეხი დალაქიშვილი მოჰკლა, შეიპყრო ტფილისის ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა გუგუშვილმაო.

*** დ. სახხერე, (შორაპნის მაზრა). ამ დღეებში ჩხუბის დროს მძიმედ დასჭრეს სტუდენტი მედოკი იაშვილი. სტუდენტი მუცელშია დაჭრილი და არავის არ აქვს იმის მორჩენის იმედი. (ტ. ფ.)

*** ქუთაისი. 30 ივლისს გათავდა კრება იმერეთის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა; ამ დღეს აქაურის ეპარქიალურის სასწავლებლის ეკკლესიაში პარაკლისი გადიხადა იმერეთის ეპისკოპოსმა ყოვლად-სამღვდელო ბესარიონმა დეკანოზის გ. ცაგერეიშვილისა და საეპარქიო სკოლების მეთვალყურის მ. მღლ. კელენჯერიძის თანადასწრებით. პარაკლისზედ გალობდა მასწავლებლებისაგან შემდგარი გუნდი. შემდეგ მ. მღლ. კელენჯერიძემ მასწავლებლებს, რომელთაც უკეთესად შეეთვისებინათ სამეურნეო ცოდნა, საჩუქრად დაურიგა სამიწათ მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან გამოგზავნილი ბაღისა და ბოსტნის სამუშაო იარაღები: სასხლავი და სანამყენო დანები, ვაზის და ყლორტის საკვეცი მაკრატლები, პატარ-პატარა ხერხები, სალესავი, პატარა თოხები და რუსულად დაბეჭდილი წიგნები, თუ როგორ გააშენონ სოფლად ბაღები და ბოსტნები.

*** ამ დღეებში ტფილისის მაზრის სოფ. საგარეჯოს მცხოვრებელის ქიტა ოტიაშვილის სახლი დაინგრა, და ქვეშ მოჰყვა ნინო ოტიაშვილისა, რომელსაც იმ დროს სახლში ეძინა.

*** დუშეთის მაზრის მცხოვრებელი არსენ ხუბაშვილი, კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე, მუშტაიდის მახლობლად მტკვარში ბანაობის დროს, დაირჩო. დამრჩვალის გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** ივლისის თვეში ტფილისში ავად გამხდარა ყვავილით 11 კაცი, წითელით—1 და სახადით—3.

## რუსეთი

საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რეალურ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ უფლება ჰქონდეთ ძველ ენების ეგზამენი გარდაიხადონ ხოლმე რომელსამე გიმნაზიასთან ჯეროვან მოწმობის მისაღებადაო.

— პირველ აგვისტოდგან მოისპო იმათ თხოვნების მიღება და განხილვა, რომელთაც ჰსურდათ პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში შესვლა. ინსტიტუტში შესვლის სურვილი განუცხადებია 450 კაცს, თავისუფალი ადგილი-კი 80 კაცისათვის ყოფილა. სამეტოქეო ეგზამენი რუსული ენისა დანიშნულია 25 აგვისტოს, უცხო ენებისა— 27 აგვისტოს, ფიზიკისა—1 სექტემბერს და მათემატიკისა—5 სექტემბერს.

— ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს 6 სამაგალითო სასწავლებელი და მოსწავლეთ შეასწავლოს მხოლოდ სოფლის მცხოვრებელთათვის საჭირო სხვა-და-სხვა გვარი ხელობა. თითო სასწავლებლისათვის გადადებულ იქმნება 15,000 მან. და ამას გარდა რომელიმე ადგილობრივი დაწესებულება უნდა დაეხმაროს მამულითა და ფულით.

— მომავალ შემოდგომას პეტერბურგში მიელიან ამერიკის ცნობილს მწერალს მარკ ტვენს, რომელსაც აზრადა აქვს პეტერბურგს გარდა რუსეთის სხვა ქალაქებიც დაიაროს.

— ამ ჟამად სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტს შეუმუშავებია ნორმალური პროექტი სავალდებულო დადგენილებათა მექარხნეებისათვის. ამ დადგენილებათა ძალით ქარხნის პატრონნი მოვალენი იქმნებიან ჯეროვანი თვალ-ყური ადევნონ ქარხნებში მომუშავეთა ზნე-ხასიათსა და ჯანმრთელობას.

— მომავალ სამოსწავლო წელს სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში პროვიზორისა და ფარმაციის მაგისტრობის ხარისხის მისაღებად გამოიცდებიან მხოლოდ ისინი, რომელთაც ამ ორის წლის წინად წარუდგინეს თხოვნები აკადემიის მთავრობას.

— განზრახვა აქვთ ზოგიერთ შარშანდელის მოუსავლობით დაზარალებულს გუბერნიაში საერო სასწავლებელთა ინსპექტორების კრება გამართონ. კრებაზედ მოილაპარაკონ იმ სასწავლებელთა შესახებ, რომელნიც შეიძლება დაიკეტონ იმის გამო, რომ მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებლებს არ შეუძლიანთ სასწავლებლების შესაფერად გაწერილი გარდასახადი გარდიხადონო. კრებაზედ მიწვეულ იქმნებიან სასწავლებლების მზრუნველებიც.

## უცხოეთი

**ესპანია და შეერთებული შტატები.** დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ ამერიკასა და ესპანიას შორის დადგენილ იქმნა ხელ-შეკრულობა პირველ დაწყებითი ზავის შესახებ. ამერიკის მთავრობამ უკვე გაუგზავნა კუბასა და პორტო-რიკოში მყოფ ჯარისა და ფლოტის უფროსებს ბრძანება იმის შესახებ, რომ ბრძოლა შეწყვეტილ იქმნას. ამ რიგად ორის თვის სისხლის ღვრის შემდეგ როგორც იქმნა ბოლო მოეღო ამ ომს. დღეის შემდეგ ომის განგრძობა ორჯელ და სამჯელ მეტს ზარალს მიაყენებდა როგორც ამერიკელებს, აგრეთვე ესპანელებს. საქმე ის არის, რომ კუბაში მყოფი ჩრდილო-ამერიკის სახელმწიფოს ჯარი ავადმყოფობას ვეღარ უძლებს. ისე დღე არ გავა, რომ რამდენიმე ასი კაცი ავად არ გახდეს ციებ-ცხელებით ან არ გარდაიცვალოს. შაფტერი დეპეშას დეპეშაზედ ჰგზავნის ვაშინგტონში, რომ თუ ჯარი დროზედ არ წაიყვანეთ კუბიდგან, რამდენისამე კვირის შემდეგ ერთი კაციც აღარ დარჩება ცოცხალიო. დიდს გასაჭირშია აგრეთვე ესპანიის ჯარიც. გენერალმა ტორალმა დეპეშით აცნობა ესპანიის მთავრობას, რომ სამხრეთის წვიმებმა, ფარდულების უქონლობამ, ცუდმა საჭმელმა დაშალა ჯარი სულ ერთიან ამოწყვეტილია. მარტო სანტ-იაგოში 8,000 ჯარის-კაცი ყოფილა ავად, ხოლო განტანამოში—1,500 კაცი. მრავალი ავადმყოფი წევს თურმე აგრეთვე პალმისა, სან-ლუისა და სონგოს საავადმყოფოებში. რაკი პირველ დაწყებითი ზავი დადებულ იქმნა, ამ დღეებში როგორც ამერიკის, აგრეთვე ესპანიის მთავრობა უთუოდ შეუდგება ჯარის წაყვანას კუბიდგან. ესპანიამ, იმ 23,000 ჯარის-კაცის გარდა, რომელსაც ამერიკელები თავიანთ ხარჯით გაისტუმრებენ ესპანიაში, უნდა წაიყვანოს კუბიდგან სულ 130,000 ჯარის-კაცი. ეს ამოდენა ხალხის გადაყვანა რამდენიმე მილიონ მანეთად დაუჯდება ესპანიას.

— ფილიპეს კუნძულების მეამბოხეთა წინამძღოლმა აგვინალდომ წერილით მიჰმართა გონ-კონგში მყოფ ამერიკის ელჩს და სთხოვა, შეატყობინოს შეერთებულის შტატების მთავრობამ, რა სწადიან უფროს ფილიპეს კუნძულებს და საზოგადოდ მაცხოვრებელთ რა მერმისი მოელის ამ კუნძულებსაო. მე თუ ჩემს ნებაზედ ვიქცევი და ყურადღებას არ ვაქცევ თქვენის მთავრობის ბრძანებას, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიცი რა გწადიანთ და რა გიძევთ გულში: ჩვენი განთავისუფლება გსურთ, თუ ჩვენის სამშობლოს დაპყრობა და დამონებაო. ელჩმა ეს წერილი ვაშინგტონში გაგზავნა, ხოლო აგვინალდოს შეუთვალა შეერთებულის შტატების სიპატიოსნეს დაენდოო.

— ეხლა, რაკი ესპანია-ამერიკის ომს ბოლო ეღება, გაზეთები ძალიან ბევრს სწერენ იმის შესახებ—ვინ არის დამნაშავე და ვინ არა. ზოგი ერთის სახელმწიფოს გაზეთები ესპანიას ამტყუნებენ და ამბობენ, რომ ეს სისხლის ღვრა იმან გამოიწვიაო, ზოგი კიდევ ბრალს შეერთებულ შტატებს სდებს. ოსმალეთის გაზეთები, მაგალითად, ძალიან თანაუგრძნობენ ესპანიას და ამტყუნებენ ამერიკას. გაზ. „Turquie“ სწერს: „შეერთებულმა შტატებმა როგორც იქმნა ნიღაბი ჩამოიხსნა და შეატყობინა მთელ ქვეყანას ის, თუ რა უდევს გულში და რა სწადიან. თურმე აზრად კუბისა და პორტო-რიკოს

---

ბუხი. მე გაკვირვებით ვუცქეროდი, ბოლოს ვთქვი:

— ეგ ხომ ყოველთვინ მაგრე არ იყო?

— უკაცრაოდ, ყოველთვის, სკოლიდგანვე.

მაგას სიცოცხლე არ ჰქვიან; ეგ საშინელება რამ არის. გატყდი, შენ უთუოდ საქმე გექნება რამე. შეუძლებელია, არვინ გიყვარდეს, გყავს მეგობრები...

— სრულებითაც არა. მე ვდგები შუადღისას, მოვდივარ აქ, დავნაყრდები; ვსვამ ლუდს; როცა დაბნელდება ვსადილობ, შემდეგ კიდევ ლუდსა ვსვამ. ბოლოს, შუაღამის ორი საათი რომ მოატანს, სახლში მივდივარ დასაძინებლად, რადგანაც ამ დროს აქ ყველანი მიჩუმდებიან ხოლმე. ეგ მე ძალიან მაბრაზებს. ამ ათი წლიდან უთუოდ ექვსი აქ, ამ კუთხეში, გამიტარებია, დანარჩენი-კი, ოთხი წელიწადი, ჩემს ლოგინში, სხვაგან არსად არ ვყოფილვარ. იშვიათად ვბაასობ აქ მოსიარულეებთან.

— როცა შენ პირველად პარიჟში მოხვედი, რას აკეთებდი?

— ვიწრთვნებოდი... მედიჩისების ყავახანაში.

— შემდეგ?

— შემდეგ მე გადმოვედი აქეთა ნაპირზედ და დავბინავდი აი აქ.

— რამ გაგაბედვინა აქეთკენ გადმოსვლა?

— როგორც გინდა, შეუძლებელია ლათინურს უბანს მთელი საუკუნე გაუძლოს ადამიანმა. სტუდენტები მოსვენებას არ აძლევენ. ეხლა-კი აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი. ბიჭო, ჰქა ლუდი!

მე ვიფიქრე, უთუოდ მე დამცინის-მეთქი, მაინც არ მოვეშვი და განვაგრძე:—გულ-ახდით რომ ვსთქვათ, შენ უთუოდ უსიამოვნება-რამ შეგმთხვევია, ვილასაც უმტყუვნია შენთვის, რასაკვირველია. შენი გარეგანი შეხედულობა მიაგავს ადამიანს, რომელსაც სწვევია დიდი უბედურება. რამდენი წლისა უნდა იყო?

— ოცდა-ცამეტისა. შეხედულობით-კი მე ბევრს 45 წლისა ვეგონები.

მე შევხედე. იმის დაღმეჭილი და არა-სასიამოვნო სახე მოხუცებულს მიაგავდა. თავზე გასწეწოდა რამდენიმე გრძელი თმა, რომლის ძირებიდგან მოსჩანდა ჭუჭყიანი კანი, დიდრონი წარბები ჰქონდა, ულვაშები და წვერი უხვი და სქელი.

ღმერთმა იცის რა მიზეზით, ერთს წამს წარმომიდგა ჭუჭყიანი წყლით სავსე ტაშტი, რაშიაც ეს არის გაურეცხიათ მთელი ეს ჭუჭყიანი მატყლი. მე ვუთხარი:

— მართლა-და, შენ მეტისა ეგონები კაცს. უეჭველად დიდი უბედურება აგიტანია.

— გარწმუნებ, არა. მე იმიტომ დავბერდი მალე, რომ არას დროს არა ვარ წმინდა ჰაერში. კაცს ისე არა სცვეთავს-რა, როგორც ეს მუდმივი ყოფნა ყავახანაში.

მე ეს შეუძლებლად მიმაჩნია.

— მაშ სჩანს კარგად გაგიტარებია შენი დრო. ვინც ქალებს არ დასდევს, ძნელად თუ დაჰკარგავს მაგრე თმებს.

იმან წყნარად გაიქნია თავი:

— არა, მე ყოველთვის თავ-დაჭერილი ვიყავი.

მერე შეხედა მაღლა ხომლს, რომელიც ჩვენ თავებს ათბობდა და სთქვა:

— მე თმა დამცვივდა ამ გაზის გამო: ეს დიდი მტერია ყოველის მცენარეობისა. ბიჭო, ჰქა ლუდი! შენ არ დალევ?

— არა, გმადლობ. გარწმუნებ, ძალიან მაკვირვებ. როდის დაგჩემდა ეგ სულის მჭმუნვარება? ეგ ნორმალური არ არის, არა ბუნებრივია. აქ უთუოდ დაფარული მიზეზი რამ უნდა იყოს.

— დიახ, ეგ ბავშობიდანვე დამჩემდა. ერთი რამ უბედურება შემემთხვა მე, როდესაც ჯერ კიდევ პატარა ვიყავი; მას შემდეგ ყველაფერი შავად მეჩვენება. ასე იქნება ბოლომდის.

— რა უბედურება შეგემთხვა — მერე?

— გსურს გაიგო? მაშ ყური დამიგდე. შენ უნდა კარგად გახსოვდეს ის სახლი, სადაც მე გავიზარდე, რადგანაც იქ გაგიტარებია ხუთჯერ თუ ექვსჯერ ზაფხული... გახსოვს შენ დიდი სასახლე შიგ შუა ბაღში, გრძელი მუხის ხეივნები, რომლებიც იშლებოდნენ ოთხივ მხრივ. ხომ გახსოვს ჩემი მშობლები, დედა და მამა? ორივენი თავაზიანი ადამიანები იყვნენ, სასტიკნი და წარჩინებულნი.

დედა-ჩემს ვაღმერთებდი, მამისა მეშინოდა, მაგრამ ორთავეს ერთგვარად პატივსა ვცემდი, შესაძლოა იმიტომ, რომ ვხედავდი, რა რიგად თაყვანსა სცემდნენ გარშემო ყველანი; ჩვენ მხარეში იმათ უძახდნენ „ბატონი გრაფი“ და „ქალბატონი გრაფინა“. ჩვენი მეზობლები, ტონნემარ, რაველეტ და ბრენვილები განსაკუთრებულ პატივის-ცემით ეკიდებოდნენ. მაშინ მე ცამეტის წლისა ვიქნებოდი. ძალიან მხიარული ბავში ვიყავი, როგორც შეჰფეროდა ჩემს წლოვანებას; მე სიცოცხლით სავსე ვიყავი. აი სწორედ მაშინ, ენკენისთვის დამლევს, რამდენიმე დღის წინათ, როდესაც მე სკოლაში უნდა მივებარებინეთ, ჩემი თავი მგლათ წარმომედგინა, ვთამაშობდი ბაღში და ვხტუნაობდი. ხეივანი რომ გადავჭერი, მე შევამჩნიე მახლობლად მოსიარულენი დედ-მამა.

ეროვნული

განთავისუფლება-კი არა ჰქონია, არამედ ამ კუნძულების დაპყრობა და დამორჩილება. ამასთან გამოაშკარავდა, რომ ამერიკელები სწორედ იმავე პოლიტიკას ადგანან და ისევე მოქმედებენ კუბის საქმეში, როგორც ინგლისი მოქმედებდა კრიტის საქმეში, კუბაში ამერიკელები აქეზებდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ამბოხება მოახდინეთო, რომ შემდეგ ჩარევის საბაბი ჰქონოდათ, ასევე მოიქცნენ კრიტში ინგლისელები. ამერიკელები დაჰპირდნენ მეამბოხეთ, თავისუფლებას მოგანიჭებთ და დამოუკიდებელ რესპუბლიკას დაგიარსებთო, ნამდვილად-კი სანტ იაგოში კუბის დროშის ნაცვლად თავიანთი დროშა აღმართეს და ამასთან განაცხადეს, რომ კუბელები ჯერ მომზადებული არ არიან თვით-მმართველობისათვის, ამიტომ კუნძულის საქმეები დროებით ჩვენ უნდა განვაგოთო. სწორედ ინგლისმაც ასევე „დროებით“ იკისრა ეგვიპტეს საქმეების განგება და აი, უკვე 18 წელიწადი განაგებს კიდეც“.

სულ წინააღმდეგს ამბობს ფრანგული გაზეთი „Voltoire“: „წინანდელმა მაგალითებმა ესპანია ჭკუას ვერ ჩააგდეს და სწორე გზაზედ ვერ დააყენეს. თავის უსამართლო პოლიტიკის წყალობით ესპანიამ ამ საუკუნის დასაწყისში დაჰკარგა მექსიკა, ბოლივია, ჩილი, პერუ, კოლუმბია და ვენეცუელა, მაგრამ მაინც ამ პოლიტიკას თავი არ გაანება. შეუბრალებლად სტანჯავდა და აწვალებდა კუნძულების მცხოვრებლებს. ყველგან მტარვალობა იყო გამეფებული. გერმო კაცებს არავინ ინდობდა, იმათი ქონება დაუკითხავად მიჰქონდათ ესპანელებს; ხალხი სიღარიბეში ჩაცვივდა, ხოლო გუბერნატორები მილიონის პატრონები გახდნენ. ბერები, რომელთა რიცხვი მარტო ფილიპეს კუნძულებზედ 6000 კაცს აღემატება, უკანასკნელ ლუკმას ჰგლეჯდნენ საწყალ სოფლის ხალხს. მცხოვრებლებთ ვეღარ გაუძლეს ასეთ მტარვალობას და ამბოხება მოახდინეს. ამბოხების ჩასაქრობად ესპანელთ უკიდურესი საშუალებანი იხმარეს. ვეილერმა და იმისმა თანაშემწეებმა სულ ერთიან ძირს დასცეს კუბის კეთილდღეობა. აი, სწორედ ამიტომ აღიმაღლა ხმა შეერთებულმა შტატებმა და ამიტომ ჩაერია კუბის საქმეში.“

**გერმანია.** გაზ. „Кур.“-ის ბერლინელი კორესპონდენტი სწერს ბისმარკის შესახებ: „როდესაც ამ რვა წლის წინად ბისმარკი თანამდებობიდგან გადადგა, თითქმის არავისა სჯეროდა, რომ იგი სამუდამოდ გამოეთხოვა პოლიტიკას. რკინის კანცლერის თაყვანის მცემელნი დარწმუნებული იყვნენ, რომ უბისმარკოდ გერმანია დაეცემა, რომ ამ სახელმწიფოს გაძღოლა მხოლოდ ბისმარკს შეუძლიან და რომ დღეს არა ხვალ ბისმარკი ხელ-ახლად დაუბრუნდება საქმესაო, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა და ბისმარკმა სამუდამოდ დაჰკარგა მნიშვნელობა. „ახალის გერმანიის“ გმირი, „გერმანიის გამაერთიანებელი“ ბისმარკი არავისთვის საყურადღებო აღარ იყო. მართალია ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, მაგრამ იმის აზრს ყურადღებას აღარავინ აქცევდა. ეს მეტად გასაკვირველი და საყურადღებო ამბავია. ის კაცი, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნე განაგებდა სახელმწიფოს, ისე მოშორდა საპოლიტიკო მოედანს, რომ ერთი მემკვიდრეც არ დასტოვა. ამ ჟამად გერმანიაში ბისმარკის მიმდევარი არავინ არის. ბისმარკი რომ შესანიშნავი და დიდად ნიჭიერი კაცი იყო, ამას უარს ვერავინა ჰყოფს. მაგრამ საისტორიო საქმეში მარტო ბუნებითი ნიჭი არ არის საკმარისი. რაც უნდა დიდი ნიჭის პატრონი იყოს კაცი, თუ მან ყურადღება დროის შესაფერ მოთხოვნილებას არ მიაქცია და თავისი ნიჭი ამ მოთხოვნილებას არ მოანდომა, იგი ისტორიულ როლს ვერასოდეს ვერ შეასრულებს, ასეთ კაცს მხოლოდ ხანმოკლე მნიშვნელობა ექმნება. ბისმარკს ისტორიული მოწოდება არა ჰქონდა. იმის ერთად-ერთი იდეალი—პრუსიის გაძლიერება იყო. გერმანიის გაერთიანება ბისმარკმა მხოლოდ იმ აზრით მოიწადინა, რომ პრუსია უფრო აღემაღლებინა და გაეძლიერებინა. მე სრულიადაც არა მსურს იმის თქმა, რომ გერმანიის გაერთიანება მარტო ბისმარკის მეცადინეობის ნაყოფია მეთქი. ამ საქმის გაკეთებას ერთი კაცი ვერასოდეს ვერ შესძლებდა. იგი ისტორიის და არა ბისმარკის ნაყოფია. ბისმარკმა მხოლოდ დააჩქარა საქმე და ის, რაც ხვალ უნდა მომხდარიყო, იმის წყალობით, დღეს მოხდა.“

## სასამართლოს მატიანე

საქმე პ. გელეიშვილისა და ს. ყიფიანისა.

ეს საქმე ქუთაისის მომრიგებელმა მოსამართლემ პირველ აგვისტოს გაარჩია.

საქმის გარემოება ამ გვარია: პ. გელეიშვილმა უჩივლა ს. ყიფიანს, რომ ამ უკანასკნელმა სრულიად უსაბუთოდ და უმიზეზოდ მომაყენა შეურაცხყოფა მოქმედებით (სილა გამარტყა) და ამასთან ძალადობა იხმარა ჩემზედ (თმა ამაწიწკნა) 12 ივლისს საკათედრო ტაძარსა და საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სადგომს შორისაო. სასამართლოში გამოცხადდა ორივე მხარე. მოპასუხეს ს. ყიფიანს იცავდა თ. მ. ფალავა, ხოლო მომჩივარს ნაფიც ვექილის თანაშემწე ს. ჯაფარიძე. მომჩივარი ითხოვდა ჩვენება ჩამოერთმიათ ირაკლი მიქაძისა და კონსტანტინე ჯაყელისათვის, როგორც ამ საქმის მნახველთათვის. ხოლო მოპასუხეს ვექილმა თ. ფალავამ ითხოვა, ჩვენება ჩამოართვით ალექსი გოცაძესა და მიხეილ კანდელაკსაო.

მოწმეებმა ფიცის ქვეშ აჩვენეს შემდეგი.

გ. დ. ბაქრაძე. (ხაზინადარი ადგილობრივის საურთიერთო საზოგადოების ბანკისა). მე და ბრალდებული ს. ყიფიანი ვიდექით „ტროტუარზე“ საურთიერთო ბანკის შენობის წინ. ამ დროს ბ. გელეიშვილმა ვიღაც უცნობ კაცთან ერთად გამოიარა ჩვენს ახლო. ყიფიანმა გელეიშვილი რომ დაინახა, სთხოვა მისულიყო მასთან ორიოდ სიტყვის სათქმელად; გელეიშვილი მოვიდა ჩვენთან, მისი ამხანაგი-კი განზე დადგა. ყიფიანმა მიჰმართა გელეიშვილს ამ სიტყვებით: „მე შემთხვევა მქონდა შემემოწმებინა ის ფაქტი, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს; დავეკითხე იმ კაცს, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა ეს ფაქტი, მაგრამ იმან ხსენებული ფაქტი სრულიად არ დაამტკიცა“. ამასთან დაასახელა ეს კაციც (ბ-ნი ირ. მიქაძე). რამდენადაც მე მახსოვს, კითხვა პედაგოგიური იყო. გელეიშვილმა მიუგო: „უზრდელობა და უკადრისობაა (недостойно) რიგიანის ადამიანისათვის ჰკითხოს მოწმეს ჩემს დაუსწრებლადაო“. ყიფიანმა უპასუხა: „რა არის აქ უზრდელური, როცა თქვენ თვითონ ქუჩა-ქუჩა ჰკრებთ უსაფუძვლო ხმებსა და ჭორებს და ამით მამტყუნებთ; გელეიშვილმა კიდევ გაიმეორა თავისი სიტყვები და დაუმატა: „ეს ფლიდობაა (подло), უწმინდურებაა (нечистоплотно), რომ ამ ნაირის გზით კითხვის განმარტებას სცდილობთ!“ ამ სიტყვების შემდეგ ყიფიანმა დაუყვირა: „როგორ მიბედავთ თქვენ მაგ უკადრისს სიტყვებს, მრისხანე სახის გამომეტყველება მიიღო და მუშტები მიუახლოვა გელეიშვილის სახეს. გელეიშვილმა უთხრა: „ხელებს თავისუფლებას ნუ აძლევთ!“ და კიდევ რაღაც დაუმატა, ალბათ რაიმე საწყენი, რადგან, უკანასკნელის სიტყვის შემდეგ, ყიფიანმა სილა გაარტყა გელეიშვილს.

ამის შემდეგ გელეიშვილმა სტაცა ხელი ჯოხს, რომელიც ყიფიანს ხელში ეჭირა, მაგრამ ეს ჯოხი გელეიშვილს სრულებით არ უხმარია. მე მივარდი გასაშველებლად; ამ დროს ყიფიანმა წაავლო ხელი გელეიშვილს თმაში. რაკი გელეიშვილმა ხელში ჯოხი ჩაიგდო, გამოუსხლტა ყიფიანს, გადგა ცოტა განზე, მიიწია ყიფიანისაკენ და მოუქნია, მაგრამ მე შევიმაგრე. მახსოვს, რომ, როცა ყიფიანმა გელეიშვილს თმაში ხელი სტაცა, ვიღაცამ გელეიშვილს ხელი მოჰკიდა და განზე ეწეოდა. ეს ჯოხი, რომელსაც თქვენ მაჩვენებთ, ყიფიანისაა. როცა ყიფიანსა და გელეიშვილს ერთმანეთთან ლაპარაკი ჰქონდათ, ჩემს გარდა იქ არავინ არ იყო, ხალხი მერე შეიყარა, როცა ისინი ერთმანეთს ეტაკნენ. გელეიშვილმა მოუქნია ყიფიანს ჯოხი და უეჭველად დაარტყამდა, მე რომ არ დამეჭირა. მე ვიცი, რომ მათ ერთმანეთში უსიამოვნება ჰქონდათ.

ანტონ სტ.—მე მეფისაშვილი (სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა). მე და გელეიშვილი ერთად მივდიოდით, როცა ყიფიანმა გელეიშვილს დაუძახა მოსალაპარაკებლად. მე ცოტა მოვცილდი და ვხედავდი, რომ ისინი ცხარედ ბაასობდნენ, მაგრამ სიტყვები არ გამიგონია. შემდეგ ყიფიანმა სილა გაარტყა გელეიშვილს, რომელმაც ხელი სტაცა ყიფიანის ჯოხს, ალბათ ეშინოდა, რომ ყიფიანს არ დაერტყა, თუმცა ყიფიანს ჯოხი არ უხმარია ჩხუბში; ეს-კი დავინახე, რომ ყიფიანმა თმაში წაავლო ხელი. ამ დროს მოვარდა წერეთელი და გელეიშვილი განზე გაიყვანა. გელეიშვილი ჯოხს იქნევდა, მაგრამ ვერ გავარჩიე, დარტყმა უნდოდა თუ არა. როცა გელეიშვილი ყიფიანს მოაცილეს, გელეიშვილმა დაუძახა ყიფიანს: „შენ ქურდი ხარ და თვალ-და-თვალ მატყუარაო“ (мошенникъ) ჩესა და ბაქრაძეს გარდა ჩხუბს დაესწრო კიდევ მესამე მოწმე, რომელმაც ეხლა ჩვენთან ფიცი მიიღო; გვარი იმისი მე არ ვიცი. ამ სიტყვების შემდეგ: „ქურდო და მატყუარა“ ყიფიანმა მიიწია გელეიშვილისაკენ, მაგრამ ის არ მიუშვეს. უწმაწური სიტყვები ყიფიანს ამ დროს არ უთქვამს.

ალექსანდრე კრ.—მე წერეთელი (საურთიერთო ბანკში მსახურებს). მე მოჩხუბრებზე მოშორებით ვიდექ, ასე ხუთმეტი ნაბიჯი იქნებოდა ჩვენ შორის და გავიგონე მხოლოდ გელეიშვილის სიტყვები: „იმიტომ რომ შენ მაშენიკი ხარო“. ამის შემდეგ ყიფიანმა გაარტყა სილა სახეში. გელეიშვილმა სტაცა ხელი გვერდში, ხოლო ყიფიანმა თმაში; ისინი გააშველა კოტე ბაქრაძემ. შემდეგ ყიფიანის ჯოხი გელეიშვილის ხელში გაჩნდა; როგორ წაართვა გელეიშვილმა ეს ჯოხი, მე ვერ შევნიშნე; გელეიშვილმა მოუქნია ყიფიანს ჯოხი, მაგრამ მე ვეტაკე მას და ავაცდინე ეს ჯოხი. გელეიშვილი იწევდა ყიფიანისაკენ, მაგრამ მე მეჭირა ხელით და არ ვუშვებდი; ყიფიანი-კი წყნარად იდგა. გელეიშვილი უძახოდა ყიფიანს: „ავაზაკო, მაშენიკო, გარყვნილო“! ზოგს სიტყვებს ქართულად ამბობდა, ზოგს რუსულად, მაგრამ რომელს ქართულად ამბობდა და რომელს რუსულად, არ მახსოვს, რუსული არ მესმის.

(დასასრული იქნება)

მომრიგებელმა მოსამართლემ ყიფიანი გაამტყუნა და სამი კვირით დატუსაღება გადუწყვიტა. (арестъ при тюрьмѣ на три недѣли.)“ ყიფიანს საქმე ოლქის სასამართლოში გადააქვს.

---

ეს ისე ცხადად წარმომიდგება-ხოლმე თვალს წინ, რომ მგონია, გუშინ მოხდა-მეთქი. იმ დღეს დიდი ქარი ჰქროდა. მთელი რიგი ხეებისა საშინლად ირხეოდნენ ქარისაგან, გაისმოდა კვნესა და რაღაც უცნაური ყრუ და ღრმა ღმუილი, ის ღმუილი, რომელიც ისმის-ხოლმე ყოველთვის ტყეში ქარიშხალის დროს.

მოწყვეტილი და გაყვითლებული ფოთლები ტრიალებდნენ ჰაერში ფრინველებივით, ეცემოდნენ დედა-მიწაზედ და მიექანებოდნენ ხევისკენ ფეხ-მარდ ნადირივით.

საღამო ახლოვდებოდა. დაბურულ ტყეში დაბნელდა კიდეც. მე უფრო მახალისებდა ეს ქარისა და ტოტების შრიალი; გიჟივით ვხტუნაობდი და ვღმუოდი მგელივით.

მშობლები რომ დავინახე, მომინდა ჩუმად მივპაროდი, უცბად დავცემოდი, ვითომ — და მართლა ბოროტ-მომქმედი ვიყავი.

მაგრამ რამდენიმე ნაბიჯზედ მე უცბად გავშეშდი ერთ ადგილას, შეპყრობილი მოულოდნელ შიშისაგან. მამა-ჩემი ყვიროდა გაუგებარის რისხვით:

— დედა-შენი სულელია, მაგრამ ეხლა მაგაზედ არა გვაქვს ლაპარაკი; მე შენთან მაქვს საქმე. მე შენ გეუბნები, რომ ჩემთვის საჭიროა ეგ ფული, მე ვთხოულობ შენგან ხელის-მოწერას.

დედამ უპასუხა მტკიცე ხმით.

— მე ხელს ვერ მოვაწერ, ეგ ქონება ჟანს ეკუთვნის. მე იმისთვის ვინახავ და სრულებითაც არა მსურს, რომ შეაჭამო კოკოტკებს და მოსამსახურე გოგოებს ისე, როგორც შეაჭამე შენი სამკვიდრო.

მაშინ მამა-ჩემი სიბრაზის კანკალმა აიტანა, მობრუნდა, ჩაჰკიდა ხელი კისერში დედას და რაც ძალი-და-ღონე ჰქონდა დაუწყო პირისახეში ცემა.

დედას შლიაპა გადაუვარდა, თმები აეწეწა და გაეშალა, სცდილობდა როგორმე დაკვრა აეცილებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მამა-კი, როგორც ცოფიანი, სცემდა და სცემდა. დედა წაიქცა და პირი-სახეზედ ხელები მიიფარა. მაშინ იმან ზურგზედ გადააბრუნა, ხელები გადაუღო და ხელ ახლად დაუწყო ცემა. რაც შემეხება მე, ჩემო კარგო, მეგონა, რომ დადგა უკანასკნელი წამი ქვეყნიერებისა, გადაბრუნდნენ საუკუნო კანონები. ვგრძნობდი ისეთს შეძრწუნებას, როგორსაც გრძნობს-ხოლმე ადამიანი ზესთა-ბუნებითი მოვლენის დანახვაზედ, გასაოცის არეულობის და გაუსწორებელ უბედურობის დროს. ჩემს ბავშურ თავში ყველაფერი აირია და დაიბნა, შემოვრთე ყვირილი რაც ძალი და-ღონე მქონდა, არ ვიცოდი-კი რისთვის, თავ-ზარ დაცემული, სასოწარკვეტილებაში ჩავარდნილი, შეპყრობილი გიჟურის შიშით. მამამ გაიგო ჩემი ხმა. ის მობრუნდა, დამინახა, წამოდგა და გამოსწია პირ-და-პირ ჩემსკენ. მომეჩვენა, რომ ჩემი მოკვლა უნდოდა, მე მოვკურცხლე, როგორც ნადირმა, პირ-და-პირ ტყისკენ.

არ ვიცი, რამდენი ხანი ვირბინე, ერთი საათი, შესაძლოა ორიც. დაღამდა და მეც გაქანცული დავეცი ბალახზედ, შეძრწუნებული, შთანთქმული შიშისაგან, ნაღველით მეწოდა გული. შემცივდა, შესაძლოა მომშივდა კიდეც. ვერ გამებედნა ვერც ადგომა, ვერც წასვლა, ვერც უკან დაბრუნება, ვერც სადმე დამალვა, რადგანაც მეშინოდა მამი ჩემის შეხვედრისა, არა მსურდა იმის დანახვა. შეიძლებოდა მოვკვდარიყავი მწუხარებით და შიმშილით ხის ძირში, ტყის მცველს რომ არ ვეპოვე და არ გამოვეთრიე იქიდან.

ჩემი მშობლები დამხვდნენ სახლში ჩვეულებრივად, ვითომ არა მომხდარაო. მხოლოდ დედამ მითხრა:

— რა ნაირად შემაშინე, საძაგელო ბავშვო. შენი გამოისობით მთელი ღამე არა მძინებია.

მე არაფერი ვუპასუხე, მხოლოდ მოვრთე ტირილი. მამას არ უთქვამს არც ერთი სიტყვა.

ერთი კვირის შემდეგ მე სკოლაში მიმაბარეს.

ამას შემდეგ, ჩემო კარგო, ყველაფერი გათავდა ჩემთვის. მე გავიცანი სარჩული ყოველისავე საგნისა; მას აქეთია კარგი არა მინახავს-რა. რა დაემართათ ჩემს აზრებს? რა ფენომენალური არეულობა მოხდა მათს შორის? მე არ ვიცი. მაგრამ მე-კი დავკარგე ყველაფრის გემო, არა მაქვს არც სურვილი, არც სიყვარული, არა მაქვს არც პატივმოყვარეობა და არც იმედი. თვალს წინ მოუშორებლივ დგანან საწყალი დედა ჩემი, მიწაზედ განართხული, და მამა, რომელიც სცემს დედას. დედა-ჩემი გადაიცვალა რამდენსამე წლის შემდეგ. მამა ჯერ კიდევ ცოცხალია. მე ის აღარ მინახავს...

„ბიჭო, ერთი ჭიქა ლუდი!“

მოუტანეს ლუდი, რომელიც უსუნთქვლივ ჩაყლაპა. მაგრამ როდესაც აიღო თავისი ჩიბუხი, იგი გადატყდა, რადგანაც ხელები უკანკალებდა. მაშინ იმის გულიდან ამოსკდა საშინელი ოხვრა და სთქვა:

— შეხედე, აი ნამდვილი უბედურება ეს არის. ერთი თვე მეტი გავა, სინამ შევეჩვევი ახალს ჩიბუხს.

ფართო და ხალხითა და კომლით სავსე დარბაზში გაისმა იმისი მუდმივი ძახილი:

— „ბიჭო, ერთი ჭიქა ლუდი, და ახალი ჩიბუხიც“!

კონ. ვეზირიშვილი

## ნაკვესი

—

გულ-მავიწყი მამა.

— მამო, აღმიკრძალავს შენთვის პეტრესთან მარტოდ მარტო სიარული, გესმის?!

— კარგი, მამა, მაგრამ ეს მითხარი, ორნი რომ ვიყვნეთ, ხომ არა უშავს-რა.

— ორნი? ორნი ჰკო, შეიძლება.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ჟამად მთელი ევროპა ბისმარკის შესახებ ლაპარაკობს. ზოგი აქებს ბისმარკს, ზოგი აძაგებს; ზოგი კარგად იხსენიებს, ზოგი კიდევ ავად. გაზეთებს ხომ ნუღარ იტყვით. დაუბეჭდავი არ გადარჩენიათ არაფერი, რაც-კი რკინის კანცლერს შეეხებოდა. აი, სხვათა შორის, რას სწერენ გაზეთები ბისმარკის შესახებ: ფრანკფურტში სეიმის დეპუტატად ყოფნის დროს ბისმარკმა თავის სახლის პატრონსა სთხოვა ჩემი ოთახიდგან სამზარეულომდე მავთული გააბი და ზარი ჩამოჰკიდე, რომ მოსამსახურესთან სიარული აღარ მომიხდეს და აქედგან დავუძახო ხოლმეო. სახლის პატრონს პრუსიელები ძალიან ეჯავრებოდნენ, ამიტომ თხოვნა არ აღუსრულა. „თუ გნებავთ, თქვენის ხარჯით გააბით მავთულიო“, მიუგო სახლის პატრონმა. მეორე დღეს სახლის პატრონს ბისმარკის ოთახიდგან რევოლვერის ხმა მოესმა. გულ-გახეთქილი შევარდა ოთახში, სადაც ბისმარკი არხეინად იჯდა და ბოლთასა სცემდა. „ღვთის გულისათვის, შეეკითხა ბისმარკს გულგახეთქილი სახლის პატრონი, მითხარით, რა მოხდა?“ „აქ არაფერი მომხდარა“, მიუგო ბისმარკმა. „მაშ რევოლვერი ვინ გაისროლა?!“ „რევოლვერი?.. ჰო, მოსამსახურეს შევატყობინე რევოლვერით, აქ მოდი მეთქი. იმედი მაქვს დღეიდგან შეეჩვევით ამ ჩემ ზარს და ეგრე აღარ შეგეშინდებათო“. სახლის პატრონს ხმა აღარ გაუცია და იმავე დღეს მავთული გაუბამს და ზარი ჩამოუკიდნია.

ფრანკფურტშივე ელჩების კრების დროს ჩვეულებად იყო გადაქცეული, რომ პაპიროსის მოწევა ავსტრიის ელჩის მეტს არავის შეეძლო. „როხოვს, ჩემს წინა მოადგილეს,—ამბობდა ხოლმე ბისმარკი, ხანდისხან ძალიან მოუნდებოდა თამბაქოს მოწევა, მაგრამ ჩვეულების დარღვევას ვერა ჰბედავდა. როდესაც მე როხოვის ადგილი დავიჭირე, ჯიბიდგან სათამბაქოე ამოვიღე და თავმჯდომარეს გრაფ რეხბერგს ცეცხლი ვსთხოვე. თავმჯდომარემ გაკვირვებულმა შემომხედა, მაგრამ წუმწუმა მაინც მომაწოდა. სხვა ელჩებს ჩემი საქციელი ისე გაუკვირდათ, რომ მეორე დღესვე თავიანთ მთავრობას დეპეშით შეატყობინეს ეს ამბავი. შემდეგ თამბაქოს წევა დაიწყეს ბავარიის, საქსონიის ელჩებმაც. ვიურტემბერგის ელჩს თუმცა თავის დღეში თამბაქოს გემო არ გაუღია, მაგრამ იმანაც დაიწყო წევა კრებებზედ, რომ სამშობლო არ დაემცირებინა. საწყალის ელჩის ხველისაგან ყურები გვქონდა გამოჭედილი“.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 აგვისტო

**ყაზანი.** საშინელის ქარის გამო ქალაქის იმ ნაწილში, სადაც თათრები სცხოვრობენ, ცეცხლი ხელ ახლა გაჩნდა. დაიწვა 15 სახლი.

**ვაშინგტონი.** სტატს სეკრეტარმა დეიმ ომის შემდეგი ადგილი გამოაქვეყნა: 1) ესპანია უარსა ჰყოფს თავის უზენაეს უფლებას კუბაზედ; 2) პორტო-რიკო და ესპანიის კუთვნილი ანტილიის სხვა კუნძულები, აგრეთვე მარიანის კუნძულები გადაეცემა შეერთებულ შტატებს, ამ უკანასკნელის ამორჩევით; 3) ზავის ხელ-შეკრულების დადებამდე, რომელშიაც დაწვრილებით აღნიშნული იქმნება ის, თუ რა გვარი მმართველგამგეობა უნდა იყოს ფილიპეს კუნძულებზედ, შეერთებულ შტატებს ეჭირებად ქალაქი და ნავთ-სადგური მანილია; 4) კუბასა, პორტო-რიკოსა და ანტილიის სხვა კუნძულებიდგან დაუყოვნებლივ უნდა იქმნას გაგზავნილი ესპანიის ჯარი; კომისიის წევრები, რომელთაც 10 დღის განმავლობაში დანიშნავენ, ხელ-შეკრულობის მოწერის 30 დღის შემდეგ ჰავანასა ან სან-ხუანში უნდა შეიკრიბნენ ევაკუაციის შესახებ მოსარიგებლად; 5) შეერთებულმა შტატებმა და ესპანიამ ხუთ-ხუთ კაცზედ მეტი არ უნდა დანიშნონ იმ კომისიაში, რომელსაც ზავის შესახებ მოლაპარაკება ექმნება მინდობილი. კომისია უნდა შეიკრიბოს პარიჟში არა უგვიანეს პირველ ოქტომბრისა.

**ვაშინგტონი.** ზღვათა სამინისტრომ მიიღო დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ სამპსონის მიერ გაგზავნილი ესკადრა მანზანილიოს დამორჩილებას თხოულობდა. კამენდანტმა უარი გამოუცხადა და 23 წუთით ადრე პირველ დაწყებითი ზავის ოქმის ხელ-მოწერამდე ბრძოლა გაიმართაო. ამერიკელებმა ქალაქს სროლა დაუწყეს. ბრძოლის მოსასპობად ვაშინგტონიდგან მიანდეს შაფტერს აცნობოს მანზანილიაში მყოფ ამერიკის ჯარის უფროს, რომ ბრძოლას თავი გაანებოს.

**ვაშინგტონი,** დეიმ ბრძანება მიიღო, რომ მანილას ალყას ნუღარ შემოარტყამო. ასეთივე ბრძანება კუბის შესახებ მიიღო სამპსონმაც.

3 აგვისტო

**პეტერბურგი** 2 აგვისტოს პეტერბურგიდგან პეტერგოფში, ელაგინის კუნძულზედ, მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდი მთავრის ასული ელენა ვლადიმირის ასული. ნავთ-სადგურიდგან მათი უდიდებულესობანი ელაგინის სასახლეში წაბრძანდნენ.

**მოსკოვი.** ვაგონის საკეთებელ სახელოსნოებს და ხე-ტყის სახერხავ ქარხანას მიტიშჩში, იაროსლავის გზაზედ, ცეცხლი საღამოს 8 საათზედ წაეკიდა. ცეცხლმა გაანადგურა 4 უზარმაზარი სახელოსნო, შემდეგ ხე-ტყის მასალას წაეკიდა. მასალა, მანქანები და სამუშაო იარაღი დაიღუპა. 1000 მდე მუშა უადგილოდ დარჩა.

**ვენა.** გადაჭრით განაცხადეს, რომ გაზეთების მიერ გავრცელებული ის ამბავი, რომ გრაფი გოლუხოვსკი თანამდებობას თავს ანებებსო, სიმართლეს მოკლებულიაო.

**მადრიდი.** გაზეთმა „Pays“-მა (რესპუბლიკანურია) დაჰბეჭდა საიდუმლოვიარო არშია შემოკრული ხელ-შეკრულების შინაარსი გაზეთი უმეტესს: ,,ესპანია მესამე ხარისხოვანი სახელმწიფო გახდაო“. ,,Liberal“ ი ჰშიშობს, რომ ფილიპეს კუნძულების შესახებ მოლაპარაკებას რამე არა მოსალოდნელი არ მოჰყვესო. სამინისტროს გაზეთი ,,Globo“ ამბობს, რომ ზავის დადების შემდეგ დაიწყობა ევროპის ისტორიის ახალი თავიო. კონსერვატორული გაზეთი გახარებული არიან, რომ ომი დასრულდა.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც შემოსწირეს ს. ნინოწმინდის სკოლის საყმაწვილო წიგნთ-საცავს სხვა-და-სხვა საყმაწვილო წიგნები.

ბ-ნმა ირაკლი ავალიშვილმა 30 ც. ქართული საყმაწვილო წიგნი, ბ-ნ კირილე ზუმბულიძემ—20 ც. ქართული და რუსული წიგნები და ბ-ნ სვიმონ თითბერიძემ 3 ც. ქართული წიგნი. მადლობას ვუცხადებ და ვისურვებ, რომ სხვასაც მიებაძნოთ იმათთვის. ვისაც გული შესტკივა, ვთხოვ შემოწირულება გამოგზავნოს შემდეგის ადრესით: На ст. Сартачалы, въ сел. Ниноцминда, учителю Ниноцминдской церковно приходской школы Гр. Хуцишвили.

ნინოწმინდის სკოლის მასწავლებელი გ. ხუციშვილი


## განცხადებანი

კელერის პეწიანი სახამებელი

როგორც მშრალად, ისე სითხესავით დამზადებული და აგრეთვე

**კელერის ლილა**

საცვლებისათვის.

ბარაქიანობითა და გამძლეობით უმჯობესია ყოველ-საზღვარ-გარეთ დამზადებულ ლილაზედ. ისყიდება ყველგან ყველა დიდ ვაჭართან.

(„Келерскій глянцъ-крахмалъ“)



(3—მ.—1)

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარის წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოც-დაშვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში 50 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში— თერთმეტი (11) —(8 და 9 წლის ყმაწვ.) და მეოთხეში—6 (10—11 წლ. ყმაწვ.); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

67 ვაკანსიიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, და დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, დამფუძნებლობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს პანსიონში იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სასწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასს.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნაკლებ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი — იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 25-დამდის, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой, на Лабораторной ул.

აგვისტოს 25, 26, 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის გარედგან მოსიარულეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $189^{8}/_{9}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—უ.—6)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები: საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა, . . . . | | 20 |
| წყარო წიგნი II მისივე . | „ | 50 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| როგორა ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | » | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |

მიიღება ხელის მოწერა რუსულ-ქართულ

**ენციკლოპედიურ ლექსიკონზედ**

ლექსიკონში განმარტებული და აწერილია ქართულად ყოველი შესანიშნავი ქვეყანა, ქალაქი, დაბა, ციხე, მონასტერი, ეკკლესია, მთები, წყლები, გამოჩენილი პირები და გვარები, სამეცნიერო საგნები, რჯულნი, მოძღვრებანი და სხვა. მარტო პირველს წიგნში, ასო **ანზე**, განმარტებული და აწერილია ორი ათასზე მეტი სიტყვა და საგანი. მათში განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ცნობებზე ჩვენის ქვეყნის შესახებ, რომლებიც აწერილია უფრო მეტის სავსებით. მთელი ლექსიკონი გამოვა 15 წიგნად, თითო 160—200 გვერდად, სამს თვეში თითო, და ეღირება ხელის მომწერთათვის მარტო **12 მანეთი**, რომელიც მსურველს შეუძლიან ორ-ორ მანეთობითაც შემოიტანოს. მივიღებთ აგრეთვე მოკლე-მოკლე სტატიებს ჩვენს ლექსიკონში დასაბეჭდათ; ასეთს სტატიებს მოვუწერთ მათის ავტორების სახელ-გვარს. მეორე წიგნი ასო **ბანზე** უკვე იბეჭდება და გამოვა ენკენისთვეში.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили. (10—104—5)

## КЪ ВОПРОСУ

**О поднятіи образованія среди грузинскаго дворянства.**

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულს მაღაზიას. (12—5)


Дозволено цензурою, Тифлисъ 4 го Іюля. 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.